# დაიჯესტი

17 – 23 აპრილი, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

## ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს პაკისტანთან დიალოგს ავღანეთის საზღვართან არსებულ ტერორიზმის პრობლემებზე. პენტაგონის პრესმდივნის, ჯონ კირბის განცხადებთ, მნიშვნელოვანია პაკისტანს ახსოვდეს საკუთარი გამოცდილება საშინაო ტერორიზმთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებული შტატები ასევე აგრძელებს მოლაპარაკებებს თალიბანთან ამერიკელი მარკ ფრერიხის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. თალიბანთან დაკავშირებულმა ჰაქანის ქსელმა ფრერიხი 2020 წლის თებერვალში დაატყვევა ავღანეთის ქალაქ ხოსთში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის განცხადებით, ტერორიზმის საფრთხემ ავღანეთიდან სხვა ადგილებში გადაინაცვლა და ახლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის ჩინეთთან ურთიერთობაზე, უნდა იზრუნოს.

## გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებული ნეო-ნაცისტური დაჯგუფება, Atomwaffen Division -ის ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეყვალას გეგმავს. აღნიშნული ჯგუფი 2015 წელს ჩამოყალიბდა და მისი სახელი დაკავშირებულია რამდენიმე მკვლელობასთან.

ბრიტანეთი და მისი მოკავშირეები იტოვებენ უფლებას, მოქმედებები ავღანეთში ტერორიზმის საფრთხის განვითარების შემთხვევაში დაიწყონ ახალი სამხედრო მოქმედებები.

მეტროპოლიტენის პოლიციამ გაანთავისუფლა ოფიცერი, რომელიც ნეო-ნაცისტური ტერორისტული ორგანიზაციის, National Action-ის წევრი იყო.

National Action-ის თანადამაარსებელს, 31 წლის ბენ რეიმონდს, ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაში ედება ბრალი. რეიმონდს ბრალად ედება ორგანიზაციის წევრად დარჩენა მის უკანონოდ გამოცხადების შემდეგ.

## ნიდერლანდები

მამაკაცს, რომელიც აგვისტოში ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს, ბრალდება მოეხსნა. 32 წლის კაცი ამსტერდამიდან, სოციალურ მედიაში ლგბტ თემის, ებრაელებისა და პოლიციის წინააღმდეგ მუქარის შემცველ შეტყობინებებს ავრცელებდა. იგი ასევე ცდილობდა გაერკვია სად შეიძლებოდა AK-47 ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, რომელიც „გეი პრაიდისთვის სჭირდებოდა“. დაკავების ფარგლებში ბრალდებულის სახლიდან ამოღებულია დაეშის პროპაგანდისტული ვიდეობი. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პირი აუტისტური სპექტრის მქონეა, ხოლო მისი დამოკიდებულება ფრუსტრაციებითაა გამოწვეული.

## იტალია

სამხრეთ იტალიაში 2016 წლის ნიცის ტერორისტულ თავდასხმასთან დაკავშირებული პირი დააკავეს.

## ჩეხეთის რესპუბლიკა

პრაღაში მცხოვრები ერთ-ერთ იმამი, სამერ შეჰადი სასამართლომ ტერორისტული აქტის განხორციელების ხელის შეწყობასა და ტერორიზმში დამნაშავედ სცნო. შეჰადმა დანაშაული აღიარა. სასჯელის სახით მას 14 წლით და 6 თვით თავისუფლების აღვეთა შეეფარდა.

ჩეხეთის პოლიციამ ტერორიზმთან დაკავშირებულ აქტივობებში ეჭვმიტანილი 5 პირი დააკავა. აღნიშნული პირები უკრაინაში პრორუსულ მხარეს ბრძოლაში არიან ეჭვმიტანილი. დაკავებების სერია ჩეხეთის მიერ რუსეთის სამხედრო დაზვერვის 2014 წლის შეიარაღების დეპოს აფეთქებასთან კავშირში დადანაშაულებამ გამოიწვია.

## ალბანეთი

34 წლის კაცმა მეჩეთში ხუთი ადამიანი დაჭრა. ადგილობრივი მედიის თანახმად, დაკავებული პირი მარტიდან სხვა თავდასხმის გამო იძებნებოდა.

## რუსეთი

რუსეთის დელეგაციამ ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიის ბანაკებიდან 3-14 წლამდე 34 ობოლი ბავშვის რეპატრიაცია განახორციელა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, სირიაში რუსეთის საჰაერო ძალებმა პალმირას სამხედრო ბაზაზე მიტანილი თავდასხმის შედეგად, დაეშის 200 მებრძოლი მოკლა.

## თურქეთი

თურქეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა ჩრდილოეთ ერაყში ჩატარებული საჰაერო სპეცოპერაციის ფარგლებში ქურთისტანის მუშათა პარტიის 9 წევრი გაანეიტრალა.

უსაფრთხოების ძალებმა აღმოსავლეთ რეგიონში ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერორისტების სამალავი გაანადგურა. სპეცოპერაციის შედეგად ამოღებულია ასაფეთქებელი ნივთიერებები და იარაღი.

თურქული მოუწოდებს შვედეთის ელჩს დაგმოს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, თავდაცვის მინისტრსა და ქურთისტანის მუშათა პარტიის ერთ-ერთ ლიდერს შორის გამართული ვიდეო კონფერენცია.

ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, უსაფრთხოების ძალების ძალისხმევის შედეგად, ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერორისტი სახელმწიფო უწყებებს ჩაბარდა.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, თურქეთი კვლავ ეწინააღმდეგება ეგვიპტის მიერ მუსლიმთა საძმოს ტერორისტებად გამოცხადების გადაწყვეტილებას.

21 აპრილს თურქეთის სასაზღვრო პოლიციამ დააპატიმრა ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერორისტი, რომელიც ქვეყანაში სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრიდან, არალეგალურად შემოპარვას ცდილობდა.

## ერაყი

ერაყის სადაზვერვო სააგენტომ ბაღდადის სამხრეთით, ალ-დორას ტერიტორიაზე, აბუ აჰმედ ეტისალატის სახელით ცნობილი ტერორისტი დააკავა.

17 აპრილს ჩრდილოეთ ერაყში ორ ჭაბურღილზე განხორციელებუ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია, დაეშმა აიღო. აღნიშნულის თავდასხმის შესახებ დაეშმა ინფორმაცია ტელეგრამის საშუალებით 19 აპრილს გაავრცელა.

ერაყის თავდაცვის სამინისტროს სპიკერის განცხადებით, სხვადასხვა სპეცოპერაციების ფარგლებში დაკავებულია დაეშის 6 მებრძოლი.

დაეშის ადგილობრივმა მებრძოლებმა პოლიციის ოფიცერი საკუთარ საცხოვრებელ სახლში ოჯახის თვალწინ მოკლეს.

ერაყის არმიამ სირიიდან საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას დაეშის ორი მეთაური დააპატიმრა, რომელთაგან ერთ-ერთი ზაქათის ფონდებს განკარგავდა თელ ანფარსა და ჰადჰარში.

ერაყის სახალხო მობილიზაციის ძალებმა, შაჰდ ალ-შააბმა, დაეშის ბლოკების გამოვლენისა და შემდგომი განეიტრალების მიზნით, სამხრეთ სამარაში ფართომასშტაბიანი სამხედრო სპეცოპერაციები დაიწყო.

## ირანი

ქალაქ მარივანთან 17 აპრილს ორგანიზებულ შეიარაღებულ თავდასხმას ირანის რევოლუციური გვარდიის ორი ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. რევოლუციური გვარდიის პრესცენტრის განცხადებით, დაღუპული ჯარისკაცები ოსმან ჯაჰანი და ნასერ ამინი არიან.

## სირია

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა საერთაშორისო კოალიციის ვერტმფრენების დახმარებით დეირ ეზ-ზორის აღმოსავლეთით, ქალაქ ჰავაიჯიში სამხედრო სპეცოპერაცია ჩაატარა. ხსენებული სპეცოპერაციის ფარგლებში დაკავებულია დაეშის 5 მებრძოლი.

ასადის რეჟიმის ძალებმა ქურთისტანის მუშათა პარტიის წევრებს ცეცხლი გაუხსნა. შეტაკება ალ-ჰასაკას პროვინციაში მოხდა, როდესაც ქურთისტანის მუშათა პარტიის წევრებმა სამხედრო ზონაში შეღწევა სცადეს.

ქალაქ ალ-შუჰაილში სირიის დემოკრატიული ძალების წევრს შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გაუხსნა.

## ისრაელი

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა, ბენი განცმა, სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების ორგანიზაციის შესახებ ჰეზბოლა მკაცრად გააფრთხილა.

## იემენი

ჰუსიტების წინააღმდეგ მებრძოლმა საუდის არაბეთის კოალიციამ იემენში ქალაქ ხამისკენ მიმართული ასაფეთქებელი მოწყობილობით დატვირთული დრონი გაანადგურა.

## ეგვიპტე

დაეშთან დაკავშირებულმა დაჯგუფებამ ტელეგრამზე გამოქვეყნებულ ვიდეოში ეგვიპტის კოპტური მართლმადიდებლური ეკლესიის წევრის და სინის ნახევარკუნძულის ტომის ორი წევრის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა აიღო. ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტროს განაცხადებით, უსაფრთხოების ძალებმა თავდასხმაზე პასუხისმგებელი 3 ტერორისტი მებრძოლი გაანეიტრალა.

## ნიგერის რესპუბლიკა

ტერორისტებმა ნიგერის რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონის ერთ-ერთი სოფელი დაარბიეს აღნიშნული ტერორისტები სავარაუდოდ დაეშის წევრები არიან. სოფელზე თავდასხმის შედეგად გარდაცვლილია 19 ადამიანი.

## ნიგერია

ბორნოს შტატის ქალაქ დიკვაში ნიგერიის არმიამ ბოკო ჰარამის ტერორისტებს ცეცხლი გაუხსნა. შეტაკების შედეგად დაიღუპა ბოკო ჰარამის 40 ტერორისტი მებრძოლი დაიღუპა.

ფედერალური მთავრობის განცხადებით, დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება, მისცეს თავშესაფარი ბიაფრას ადგილობრივი მოსახლეობის დევნილ წევრებს, წარმოადგენს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისგან თავის არიდება და ძირს უთხრის ნიგერიის უსაფრთხოებას.

ბოკო ჰარამის სპონსორებისა და ხელშემწყობი პირების წინააღმდეგ ნიგერიის ფედერალურმა მთავრობამ ოპერაცია დაიწყო. ოპერაციის ფარგლებში დაკავებული არიან სამხედრო ოფიცრები, რომლებიც ბოკო ჰარამთან თანამშრომლობდნენ.

გრინფილდის უნივერსიტეტში შეჭრილმა შეიარაღებულმა პირმა საუნივერსიტეტო პერსონალის ერთი წევრი მოკლა. შეიარაღებულმა პირმა ასევე გაიტაცა 1 პირი.

## სომალი

ალ-შაბაბის მაღალი რანგის წევრები დააკავეს ცენტრალურ და სამხრეთ სომალიში. უშიშროების სამინისტროს დაკავებულების შესახებ დეტალები არ გაუვრცელებია.

## კამერუნი

კამერუნის სამხედროება 9 მოქალაქე გაათავუსლფეს. აღნიშნული პირები ანგლოფონ სეპარატისტებს 2 თვის განმავლობაში ტყვედ ჰყავდათ. გათავისუფლებული ტყვეების განცხადებით, ამბოხებულები მათ აწამებდნენ და სხეულის ნაწილებს აჭრიდნენ.

## პაკისტანი

პაკისტანის მთავრობის განცხადებით, გაათავისუფლებულია პოლიციის 11 ოფიცერი, რომლებიც ისლამისტური დაჯგუფება, თეჰრეკ-ე-ლაბაიკმა (TLP) საფრანგეთის ელჩის განდევნის მოთხოვნით გამართული ძალადობრივი პროტესტის დროს ქალაქ ლაჰორში დაატყვევა.

პეშავარსი ორმა შეიარაღებულმა პირმა, თალიბანის ლიდერი, მულლაჰ ნექ მუჰამმად რეჰბარი მოკლა. თავდასხმის დროს მძიმედ დაიჭრნენ თალიბანის ლიდერის თანმხლები პირები.

## ინდოეთი

ქაშმირის პოლიციამ ლაშქარ-ე-თაიბას ტერორისტებისათვის დახმარების გაწევის ბრალდებით ორი პირი დააკავა.

## ავღანეთი

ნანგარჰარის პროვინციაში თავდამსხმელებმა, რომელთა ვინაობაც ამ დრომდე უცნობია, თარავიჰის ლოცვის დროს ოჯახის რვა წევრი მოკლეს.

ვაშინგტონის ხელმძღვანელობით თურქეთში დაგეგმილი ავღანეთის სამშვიდობო კონფერენცია თალიბანის მიერ მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზით გადადიდო.

ავღანეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ჰერათში, ფარაში, გჰორში, კანდაჰარსა და ღაზნის პროვინციებში სამთავრობო ძალებთან შეტაკების შედეგად მოკლულია თალიბანის 34 მებრძოლი და დაკავებულია - 10.

## შრი-ლანკა

22 აპრილს, ხუთშაბათს, შრი-ლანკის ტერორიზმის გამოძიების დანაყოფმა 5 თამილი დააკავა. ხუთივე მათგანი გადაყვანილია კოლომბოში.

## ფილიპინები

ფილიპინელმა სამხედროებმა სულუს პროვინციაში ეგვიპტელი თვითმკვლელი ტერორისტი და ორი ადგილობრივი აბუ საიაფის მებრძოლი მოკლეს.